

ოქმი N3

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომის

2017 წელი, 29 იანვარი

ქ. ოზურგეთი, 14⁰⁰სთ

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარე: გ.კობალაძე,

თავმჯდომარის მოადგილე: ნ. გოგუაძე,

კომისიების თავმჯდომარეები: ლ.ბიგვავა, ლ.თოიძე, ნ.ტაბატაძე,
მ.მახაროზლიძე.

ფრაქციის თავმჯდომარეები: თ. ნადირიძე.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის პასუხისმგებელი პირები.

არ ესწრებოდნენ: თ. სალუქვაძე, ი.საჯაია, ნ.ორაგველიძე, კ. კვაჭაძე.

სხდომას თავმჯდომარეობდა: საკრებულოს თავმჯდომარე გ. კობალაძე.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი რომელიც დამტკიცდა ერთხმად.

დღის წესრიგი

1. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2017 წელს რეგიონული განვითარების პროექტების ფონდიდან განსახორციელებელი და დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე.

მომხსენებელი: გელა კობალაძე

თანამომხსენებელი: მერაბ წივწივაძე

მომხსენებელმა მ. წივწივაძემ განმარტა წარმოდგენილი პროექტი მუხლობრივად.

აზრი გამოთქვას: გ. კობალაძე - N4 ბაღის შეკეთებისას უკანა შენობა არ შედის გეგმაში ალბათ, მოთხოვნილი თანხა არ ეყოფა მთლიანი შენობის შეკეთებას.

თ. ნადირიძე - რატომ არ ჩამოგაქვთ ეს პროექტი საკრებულოში?

მ. წივწივაძემ წარმოადგინა პროექტები.

აზრი გამოთქვას: გ. კობალაძე - საკითხი გავიტანოთ საკრებულოს სხდომაზე მერისათვის თანხმობის მისაცემად.

დაადგინეს: საკითხი განსახილველად გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

დამტკიცდა ერთხმად

საკრებულოს სხდომა ჩატარდება 2017წლის 25 იანვარს 12 საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ბიუროს წევრებს და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:

გელა კობალაძე

გელა კობალაძე



საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა